სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - სლავური ფილოლოგია /Slavonic Studies

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორები დავით გოცირიძე, მარიამ ფილინა.
კონსულტანტი: ემერიტუსი ნათელა ჭოხონელიძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანი:
საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ორგანული ჩართვა ერთიან ევროპულ სივრცეში მოითხოვს საერთაშორისო საგანმანათლებლო კონიუნქტურის გათვალისწინებას. ქართული საგანმანათლებლო სტრატეგიის გამომუშავებისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნისთვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას. ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოსა და სლავურ ქვეყნებს შორის სახელმწიფოებრივ დონეზე პირდაპირი ურთიერთობების წარმოება ახლებურ ფორმატში. სამწუხაროდ, ამ ურთიერთობებისათვის ჩვენ არ აღმოვჩნდით მზად, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში აღნიშნული კონტაქტები მხოლოდ რუსეთის მეშვეობით ხორციელდებოდა და მისსავე სტრატეგიულ ინ-ტერესებზე იყო ორიენტირებული და საქართველოც "ორმხრივი" ურთიერთობის სუბიექტი ვერ იქნებოდა. შესაბამისად, ჩვენ არ აღმოგვაჩნდა სლავური ენების, კულტურების, ქვეყნების პოლიტიკისა და ა.შ. სისტემური ცოდნა. საქართველოს საერთაშორისო იმიჯის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია თორმეტ სლავურ ქვეყანასთან ურთიერთობის ჰარმონიზაცია. ამ ამოცანის განხორციელებაში შეიძლება უდიდესი როლი შეასრულოს წინამდებარე სადოქტორო პროგრამამ კულტურათშორის კომუნიკაციაში, რომლის აქტუალობა გამომდინარეობს ყოველივე ზემოთ თქმულიდან.

პროგრამის **მიზანია** მსმენელებს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ენისა, რომელიც განიხილება როგორც კულტურის აქტიური ნაწილი, მისი ფორმირების, დამკვიდრებისა და გადაცემის ძირითადი საშუალება, და კულტურის ურთიერთქმედებისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესების შესახებ, კომუნიკაციის ლინგვოკოგნიტური ბუნების გამოვლენა შესაბამის ენობრივ ცნობიერებებში და მისი გათვალისწინება ინტერკულტურულ დიალოგში.
პროგრამის **ამოცანაა** მაღალკვალიფიციური ფართე ჰუმანიტარული პროფილის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება სლავთმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის დარგში.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საკვლევ პრობლემათა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა:
ა) ეთნოენობრივი ცნობიერების კროს-კულტურული კვლევა;
ბ) ინტრაკულტურული და ინტერკულტურული კომუნიკაციის შეპირისპირება;
გ) ეთნოენობრივი ცნობიერების ასახვა ლიტერატურაში;
დ)კულტურათშორისი კომუნიკაციის განხილვა დიაქრონულ ჭრილში;
ე) ეთნოენობრივი ცნობიერების სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები.

ბ) პროგრამის შედეგი: პროგრამის განხორციელების შედეგად დოქტორანტები მიიღებენ თვისობრივად განსხვავებულ დარგობრივ და მეტადარგობრივ ცოდნას კულტურათშორის კომუნიკაციაში, მათ ჩამოუყალიბდებათ კულტურული კომპეტენციები, რომელიც გულისხმობენ ენობრივი მოვლენების ინტერდისციპლინარულ კომპლექსურ ხედვას.
დოქტორანტებს გამოუმუშავდებათ შემდეგი ტრანსფერული უნარები: ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზის უნარი კროსკულტურული კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით; ემპირიული მასალის პოზიციონირებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი; დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, სოციალური უნარები, საკომუნიკაციო

უნარი, ინტერპერსონალური და ჯგუფური მუშაობის უნარი; სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები.
აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კულტურულ და მთარგმნელობით ცენტრებში, ბიბლიოთეკებში, გამომცემლობებში, მასმედიასა და საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრებში, დიპლომატიურ სამსახურში, საერთაშორისო სავაჭრო და კულტურულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტები, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
- მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
- ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონის ცოდნა.

სასწავლო კომპონენტი.
სავალდებულო (35 კრედიტი):
- სწავლების თანამედროვე მეთოდები – 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა – 15 კრედიტი
- დოქტორანტის 2 კოლოკვიუმი – 10 კრედიტი

არჩევითი (25 კრედიტი):
- საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 5-30 კრედიტი
- აკადემიური წერა - 5 კრედიტი
- საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი - 5-15 კრედიტი
- უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი 5-60 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
უნივერსიტეტის და ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია შვიდი დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული ლექტორები:
ორი სრული პროფესორი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოცირიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ფილინა
ოთხი ასოცირებული პროფესორი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ალექსიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნატა ბასილაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია თუხარელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ფორაქიშვილი